



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ადმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადება ანტიკორუფციული ბიუროს 24 სექტემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

საქართველოს ეროვნული პლატფორმა პროტესტს გამოხატავს ანტიკორუფციული ბიუროს მიერ "განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად" ორი არასამთავრობო ორგანიზაციის: "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" და "აირჩიე ევროპას" და ამ ორგანიზაციებთან დაკავშირებული ფიზიკური პირების გამოცხადებასთან დაკავშირებით. ბიურო ამ ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს ავალდებულებს, ხუთი დღის ვადაში წარადგინონ ფინანსური ანგარიშები გაწეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების შესახებ, იმ საბანკო ანგარიშების რეკვიზიტების შესახებ, რომლებიც გამოიყენება მათ საარჩევნო მიზნებთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯებისთვის, ასევე, უწყებს სხვა ვალდებულებების შესრულებას.

ბიუროს ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცხადების საფუძველი გახდა მათი შეხვედრები მოქალაქეებთან და საინფორმაციო კამპანიები, რომლებზეც ისინი მოქალაქეებს ევროპული არჩევანის გაკეთებისკენ და კონკრეტული პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებენ. ანტიკორუფციული ბიუროს შეფასებით, ისინი ხელისუფლების საწინააღმდეგო და მადისკრედიტებელ განცხადებებს აკეთებენ.

ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის განმარტებით, მონიტორინგი გრძელდება და შესაძლოა კიდევ გამოვლინდნენ ორგანიზაციები თუ ფიზიკური პირები, რომლებიც გამოცხადებიან საარჩევნო მიზნის მქონეებად.

აღნიშნულით, ანტიკორუფციულმა ბიურომ არასწორად განმარტა საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, რაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს. ანტიკორუფციული ბიუროს მიერ კანონის ასეთი განმარტება ქმნის სახიფათო პრეცედენტს და წარმოადგენს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა გათანაბრება პოლიტიკურ პარტიასთან ისე, რომ მათ თავად არ განუცხადებიათ საკუთარი საარჩევნო მიზნების შესახებ, არ აყენებენ საკუთარ კანდიდატურას საარჩევნო პროცესში, შლის ყოველგვარ ზღვარს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, მათ შორის, საარჩევნო საკითხებზე აზრის გამოთქმასა და არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობას შორის. აღნიშნულით როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ისე ნებისმიერ პირს ეზღუდება უფლება თავისუფლად გამოხატოს აზრი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებზე, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ხელი ეშლება შეასრულონ საკუთარი ფუნქცია დემოკრატიულ საზოგადოებაში - ზედამხედველობა გაუწიონ ხელისუფლების შტოების საქმიანობას.

მოვუწოდებთ მმართველ ხელისუფლებას, შეწყვიტოს სახელმწიფო ინსტიტუტების გამოყენება პარტიის საარჩევნო მიზნებისთვის და ნუ ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ჩრდილს მიაყენებს არჩევნების ლეგიტიმურობას.